ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№3-78117/12
"25" 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა შეშელიძე, №17-ში, (ნაკვ. 1/13) (საკ. კოდი №01.11.17.001.013) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1158648 24.03.2014წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2282220 07.11.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა შეშელიძე, №17-ში, (ნაკვ. 1/13) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

№1 ადმინისტრაციულ საყოფაცხოვრებო შენობა

„3-1“ ფასადზე არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილები და არ არის დასრულებული ლესვა. „1-3“ ფასადზე არ არის მოწყობილი სარეკლამო წარწერები.

№6 საკომპრესორო (რესივერები, ფილტრები, მართვის პანელი)

„3-1“ ფასადი: ფასადის ნაწილზე არ არის შესრულებული ლესვა და ღებვა.

„ა-გ“ ფასადი: „ბ-გ“ მონაკვეთში გაზრდილია კარის სიმაღლე 0.25 მ-ით.

„გ-გ“ ღერძზე გაუქმებულია ორი კოლონა და დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. შეცვლილია შენობის გაბარიტები ასევე კოლონების მდებარეობა და რაოდენობა. შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია ტექნოლოგიური არხი.

„3-3“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია გაზის და წყლის მილი. დამცავ კედელზე დამატებით მოწყობილია რეკლამები. ტრანსფორმატორის გვერდით შეცვლილია ფილის გაბარიტები. მეხამრიდს მონაცვლებული აქვს ადგილი. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება. ტერიტორიაზე სადროშეებს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია დამცავ კედელზე.

შეცვლილია მარიგებელი სვეტების გაბარიტები და ნახატი.

დამცავ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის,

ბრძანება

1. შპს „ქსანი“-ს, დავით ინაურს, ქ. თბილისში, ქუჩა შეშელიძე, №17-ში, (ნაკვ. 1/13) (საკ. კოდი №01.11.17.001.013) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №78117/12 12.11.2015წ.
№114997/12 17.12.2015წ. განცხადებები.

გიორგი გეჯაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე